



საჯარო ინფორმაციის ონლაინ გამოთხოვის პრაქტიკა და არსებული ბარიერები

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და კერძო სექტორის ასოციაციების ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება

2023

შენიშვნა: ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ის მთავრობის პოზიციას.

შესავალი

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის კავშირი უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის. ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საჯარო სამსახურების დიაობას. მნიშვნელოვანია მოქალაქეებს თავისუფლად შეეძლოთ სასურველი საჯარო ინფორმაციის მიღება სხვადასხვა უწყებიდან, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას, სახელმწიფო ინსტიტუციების საქმიანობასა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

დღევანდელ, განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში მნიშვნელოვანია ინფორმაციის ელექტრონული მიმოცვლის საშუალებების გამოყენება. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით მოთხოვნა და მიღება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 2013 წლიდან დაიწყო აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, ელექტრონული სახით ინფორმაციის მოთხოვნა და მიღება მოქალაქეებისთვის გარკვეულ გამოწვევებთან მაინც ასოცირდება.

ეს პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის პრაქტიკასა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით მოთხოვნასა და მიღებასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს. დოკუმენტში განხილულია წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და რეკომენდაციები საუკეთესო პრაქტიკის დასაწერად.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პრაქტიკა საქართველოში

საჯარო ინფორმაციაზე წვდომა ფუნქციური დემოკრატიის ფუნდამენტური და ღია მმართველობის განუყოფელი ნაწილია. საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოს კონსტიტუციითა¹ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით² რეგულირდება. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს“.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა. ერთ-ერთი გამორჩეული სიახლე საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით მოთხოვნისა და მიღების შესაძლებლობაა, რომელიც 2013 წლიდან დაინერგა³. ქვეყანაში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხარჯზე, ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მოთხოვნის პრაქტიკის დანერგვა ამ პროცესის გამარტივებასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას ემსახურებოდა. მიუხედავად ამისა, პროცესების გამარტივებისა და გამჭვირვალობის ზრდის მოტივით

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> - მუხლი 18

² <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=43> - თავი III

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2001875?publication=0>

მიღებული ფორმატი ვერ აღწევს თავის მიზანს. IDFI-ის კვლევის თანახმად⁴, 2022 წლის მონაცემებით, 128 საჯარო დაწესებულებიდან 10%-ს საერთოდ არ აქვს ვებგვერდი, 13%-ს კი ვებგვერდზე არ აქვს საჯარო ინფორმაციის განყოფილება ან არ აქვს არანაირი ინფორმაცია მასში. წლების განმავლობაში შეტანილი არაერთი ცვლილებისა და განახლების მიუხედავად, ამჟამად კანონდებლობაში არსებობს ხარვეზები და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (სზაკ) არსებობს დებულებები, რომლებიც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და საჯარო მოხელეებს საშუალებას აძლევს, მოქალაქეებს დამატებითი ბარიერები დაუწესონ ინფორმაციის მიღების პროცესში. მაგალითად, სზაკ-ი მოქალაქეს ავალდებულებს, მიუთითოს საკუთარი ვინაობა, მისამართი და ხელმოწერა. ვინაიდან ტერმინი „განმცხადებლის ვინაობა“ ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ზოგჯერ იდენტიობის დასადასტურებლად საჯარო უწყებები, სახელისა და გვარის გარდა, პირადი ნომრის მითითებასაც ითხოვენ. პირადი ინფორმაციის ამ დოზით გაზიარება ნიშნავს, რომ საჯარო უწყებებმა იციან, კონკრეტულად ვინ ითხოვს ინფორმაციას, რაც ბარიერებს უქმნის კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიაში მომუშავე ჟურნალისტებს. ამას კარგად ასახავს კვლევა „მედიაგარემო საქართველოში“⁵. კვლევა აღნიშნავს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გადაუჭრელ პრობლემად რჩება ქართველი ჟურნალისტებისთვის, რადგან საჯარო პირები სირთულეებს უქმნიან კრიტიკულ მედიას საჯარო ინფორმაციის მოპოვების პროცესში.

კიდევ ერთი ბარიერი, რომელსაც ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვისას ვხვდებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მოთხოვნაა. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ხელმოწერის სხვადასხვა ტიპი არსებობს (რომელთაგანაც მოქალაქისთვის ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი დასკანირებული და ელექტრონული ხელმოწერებია), საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“⁶ განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას, მოქალაქე ვალდებულია, დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და შტამპი გამოიყენოს. იმისთვის, რომ მოქალაქემ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და შტამპის დასმა შეძლოს, მას სჭირდება:

- პირადობის მოწმობა;
- ბარათის პინკოდი – ბარათის პინკოდი მოქალაქეს პირადობის მოწმობის აღებისას კონვერტში ჩადებული გადაეცემა. თუ მოქალაქეს კონვერტი დაკარგული აქვს, მისი აღდგენის საფასური 10 ლარს შეადგენს;
- ბარათის წამკითხველი – ამ მოწყობილობის ყიდვა იუსტიციის სახლშია შესაძლებელი და მისი ღირებულება 20 ლარს შეადგენს;
- შესაბამისი პროგრამული მოდულების გადმოწერა კომპიუტერზე, როგორებიცაა პირადობის უნივერსალური პროგრამა და Adobe Reader.

⁴https://idfi.ge/public/upload/00_studies/2023/ENG_proactive_disclosure_of_public_information_on_georgian_public_institutions_websites.pdf

⁵ https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2021/01/Media-Environment_Georgia.pdf

⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3654557?publication=2>

საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვისას ხელმოწერის ფორმებიდან **მხოლოდ** კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის აღიარება იწვევს დროისა და ფინანსურ დანახარჯებს, რაც, საბოლოო ჯამში, ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის მთავარ არსს – საჯარო ინფორმაცია გახდეს უფრო მარტივად ხელმისაწვდომი.

კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ რიგ შემთხვევაში **სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას შეუძლია ნორმატიული აქტით თავად განსაზღვროს ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის პროცესი**. სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-4 დებულების თანახმად, ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სტანდარტი შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით რეგულირდება. ვინაიდან კანონქვემდებარე აქტით გაიწერება სტანდარტის ტექნიკური დეტალები, კანონქვემდებარე აქტს არ აქვს ძალა, კანონისგან განსხვავებული წინაპირობა წამოაყენოს, შესაბამისად, არ აქვს უფლება, დამატებითი ბარიერები შექმნას. პრაქტიკაში კი, ტექნიკური დეტალების გაწერის გარდა, ნორმატიული აქტები დამატებით მოთხოვნას უწესებენ მოქალაქეებს ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის დროს. მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წელს მიიღო დადგენილება⁷, რომლის მიხედვითაც, საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად ან წერილობითი ფორმით მიღებით დაინტერესებულმა მხარემ დამატებით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლიც უნდა წარადგინოს. ერთი მხრივ, უგულებელყოფილია წესი, რომ დადგენილებას არ აქვს უფლება, დამატებითი მოთხოვნები დაუწესოს მოქალაქეს, მეორე მხრივ კი, იგი იწვევს პროცესის ხელოვნურად შეფერხებას.


კიდევ ერთი გამოწვევა ის არის, რომ **საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა არ არის ინკულზიური პროცესი**. სზაკ-ის 37-ე მუხლი, რომელიც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას არეგულირებს, განსაზღვრავს, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად წერილობითი განაცხადის წარდგენაა საჭირო. თუმცა არ არის ნახსენები, როგორ შეიძლება შშმ პირებმა, ვისთვისაც წერილობითი მოთხოვნა დაბრკოლებას წარმოადგენს, მიიღონ მათთვის კუთვნილი საჯარო ინფორმაცია.

დაბოლოს, საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში, მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია სასამართლოს მეშვეობით. თუმცა სასამართლოს მეშვეობით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა არაეფექტურია, რადგან **საპროცესო ვადა 28 თვეს შეადგენს, რაც საშუალოდ ორჯერ აღემატება კანონიერ ვადას** (დიაგრამა 1). საჯარო მონაცემების ბუნებიდან გამომდინარე, 28 თვის შემდეგ ეს მონაცემი კარგავს მნიშვნელობას და აქტუალობას⁸.

⁷ https://askgov.ge/ka/request/1334/response/1665/attach/3/29.pdf?cookie_passthrough=1

⁸ <https://idfi.ge/ge/access-to-public-information-and-the-right-to-a-fair-trial>

დიაგრამა 1. დავების გადაწყვეტის ვადები



საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის მეტად გამორჩეული სისტემები აქვთ დიდ ბრიტანეთსა და ფინეთს.

დიდ ბრიტანეთში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა რეგულირდება ინფორმაციის თავისუფლების აქტით⁹, რომელიც 2000 წელს ამოქმედდა. კანონის თანახმად, მოქალაქეებს აქვთ საჯარო ინფორმაციის ციფრული გზით მიღების რამდენიმე ვარიანტი:

- ელექტრონული ფოსტით: თუ მოქალაქე საჯარო ინფორმაციის მიღების ამ ფორმას აირჩევს, მან უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი, გვარი, ელ-ფოსტის მისამართი და ნათლად ჩამოაყალიბოს, რა ინფორმაციის მიღება სურს.

გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთში არასამთავრობო ორგანიზაცია mySociety-მ შექმნა პლატფორმა სახელწოდებით „Whatdotheyknow“¹⁰, რომელიც მოქალაქეებს ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნაში ეხმარება. მოქალაქეები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილს თავად პლატფორმის საშუალებით აგზავნიან. პლატფორმა ავტომატურად აგზავნის წერილს საჭირო სააგენტოში. საჯარო დაწესებულებები ამ წერილს თავიანთ ელექტრონულ ფოსტაზე იღებენ და პასუხს იმავე ფორმით აბრუნებენ. პლატფორმა ავტომატურად ანიჭებს მომხმარებლებს ელ-ფოსტის უნიკალურ მისამართებს. მოქალაქეების მიერ დაწერილი წერილები, ასევე მიღებული პასუხები/მონაცემები ავტომატურად ქვეყნდება საჯაროდ Whatdotheyknow-ს პლატფორმაზე, რაც საშუალებას აძლევს სხვა მოქალაქეებს, გაეცნონ უკვე გამოქვეყნებულ განცხადებებს და არ გაგზავნონ ახალი წერილი იმავე თემაზე. Whatdotheyknow-ს პლატფორმა ბრიტანეთში ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიღების აპრობირებული გზაა. მისი გამოყენების

⁹ <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/36/contents>

¹⁰ <https://www.whatdotheyknow.com/>

სიმარტივის გათვალისწინებით, დაარსების დღიდან 46 ათასზე მეტ საჯარო დაწესებულებაში თითქმის ერთი მილიონი წერილი გაიგზავნა.

- სოციალური მედიით: თუ მოქალაქე ირჩევს საჯარო ინფორმაციის მიღების ამ ფორმას, მას შეუძლია მოითხოვოს სასურველი საჯარო ინფორმაციის მიღება ნებისმიერი სოციალური მედიის პლატფორმის საშუალებით (მაგ.: Facebook, Twitter და სხვ.). ინფორმაციის თავისუფლების აქტის მე-8 ნაწილი აღიარებს ინფორმაციის მოთხოვნის მართებულებას, მაშინაც კი, თუ ის მოთხოვნილია საჯარო პოსტის ფორმატში. ამ შემთხვევაში ერთადერთი მოთხოვნაა, რომ მოქალაქემ მიუთითოს სახელი და გვარი. საჯარო სტრუქტურა პასუხს იმავე პოსტში გასცემს. თუ უწყებას არ შეუძლიათ პასუხის გაცემა საჯარო პოსტშივე, მათ უნდა მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია ცალკე, პირად შეტყობინებაში.
- კონკრეტული საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე ციფრული ფორმის შევსებით: თუ მოქალაქე ირჩევს საჯარო ინფორმაციის მიღების ამ ფორმას, მას შეუძლია ეწვიოს საჯარო დაწესებულებების ერთიან სიას მისამართზე: <https://www.gov.uk/government/organisations>. აღნიშნულ ვებგვერდზე მოქალაქეებს შეუძლიათ ადვილად იპოვონ მათთვის საინტერესო საჯარო დაწესებულება და შეამოწმონ, არის თუ არა ციფრული ფორმა ვებგვერდზე ჩაშენებული. ვებგვერდზე ჩაშენებული ფორმა პირადი ინფორმაციიდან მხოლოდ სახელს, გვარს და ელ-ფოსტის მისამართის მითითებას ითხოვს. ონლაინ ჩაშენებული ფორმის ერთ-ერთი მაგალითია ტრანსპარენტის დეპარტამენტის ვებგვერდზე არსებული ფორმა: <https://www.smartsurvey.co.uk/s/freedom-of-information-request/>

შემ პირებს, რომლებიც მოკლებულნი არიან წერილობით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესაძლებლობას, აქვთ საშუალება საჯარო სტრუქტურებში დარეკონ და ამ გზით გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია.

თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ მას საჯარო ინფორმაციას არ უზიარებენ, ინფორმაციის თავისუფლების აქტის საფუძველზე შეუძლია ინფორმაციის კომისარს მიმართოს დასახმარებლად. სტანდარტულად, ინფორმაციის კომისარი საქმის შესწავლას 20 სამუშაო დღეს ანდომებს. თუ საქმე კომპლექსურია, მაშინ მომჩივანს განუმარტავს, დამატებით რამდენი სამუშაო დღე დასჭირდება განსახილველად¹¹. თუ საქმის შესწავლის შემდეგ ინფორმაციის კომისარი დაადგენს, რომ საჯარო სტრუქტურამ არაკანონიერად არ გასცა ინფორმაცია, დაავალებს მას, საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს აღნიშნული მოქალაქისთვის.

ფინეთი, დიდ ბრიტანეთთან ერთად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. 1999 წლის მთავრობის ღიაობის აქტი¹² არეგულირებს ხელისუფლების ხელთ არსებული საჯარო დოკუმენტების ხელმისაწვდომობასა და კონფიდენციალურობას.

ფინეთის კონსტიტუციის¹³ მე-12 თავის თანახმად, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, წვდომა ჰქონდეს ოფიციალურ საჯარო დოკუმენტებზე. ფინეთში გამონაკლისების გარდა ყველა ოფიციალური დოკუმენტი მოაზრებულია საჯარო დოკუმენტად და მიჩნეულია, რომ ინფორმაცია უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი მოთხოვნის გარეშე. თუ ოფიციალური დოკუმენტი არ არის გამოქვეყნებული, დაინტერესებულ მოქალაქეს შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია.

¹¹ <https://www.fca.org.uk/publication/foi/internal-review-process.pdf>

¹² <https://finlex.fi/en/laki/kaannokset/1999/en19990621.pdf>

¹³ <https://finlex.fi/en/laki/kaannokset/1999/en19990731.pdf>

„სახელმწიფო საქმიანობის ღიაობის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის თანახმად: „მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ საჯარო დოკუმენტები ან შესაბამისი ინდექსები ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკებში ან მონაცემთა საჯარო ქსელებში, ან სხვაგვარად, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების წევრებისთვის“.

ფინეთისა და დიდი ბრიტანეთის საჯარო უწყებები მოთხოვნებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით იღებენ, ზოგიერთი დაწესებულება კი სთავაზობს მოქალაქეს, საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე შეავსოს ციფრული ფორმა.

ინფორმაციის მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს ანონიმურად. საჯარო უწყებას არ აქვს უფლება, განმცხადებელს მოსთხოვოს პირადი ინფორმაცია (მათ შორის სახელი და გვარი) ან ინფორმაციის მოთხოვნის მიზეზი.

მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს გასაიდუმლოებული დოკუმენტიც. სტანდარტული ოფიციალური დოკუმენტის გამოთხოვისგან განსხვავებით, ასეთ შემთხვევაში მოქალაქე ვალდებულია, განმარტოს საიდუმლო (თუ გასაიდუმლოებული?) ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი. მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჯარო უწყებამ ყოველთვის უნდა დაასაბუთოს უარის მიზეზი.

თუ მოქალაქეს არ დააკმაყოფილებს ინფორმაციის მოთხოვნის უარყოფის არგუმენტები, შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციულ სასამართლოს სასურველ ინფორმაციაზე წვდომის მოპოვების მიზნით.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს მთავრობის ციფრული გამჭვირვალობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით მიღების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ სზაკ-ში შეტანილმა ცვლილებებმა ფორმალურად ხელმისაწვდომი გახადა საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვა, პრაქტიკაში არაერთი ბარიერი გვხვდება, რომელიც მოქალაქეებს ამ უფლების გამოყენებაში ხელს უშლის.

ამავდროულად, საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დაცულია მაშინ, როდესაც მოქალაქეებისთვის მინიმალური ბარიერები და მაქსიმალურად ინკლუზიური გარემო იქმნება. დემოკრატიულ ქვეყნებში საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მისაღებად საკმარისია სახელის, გვარის და ელექტრონული ფოსტის მისამართის გაზიარება. ზოგიერთ შემთხვევაში, ანონიმურად მიღებული წერილიც მოქმედებს. ამავდროულად ქვეყნებში დაცულია შშმ პირების უფლებები და მათთვის, ვისაც უჭირს საჯარო ინფორმაციის წერილობით მოთხოვნა, შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ტელეფონით.

ზემოთ ხსნებული გამოწვევების გადასაჭრელად, რეკომენდებულია:

- **პირადი მონაცემების მიწოდების ვალდებულების გაუქმება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისას.** გარდა იმისა, რომ ეს ცვლილება გაამარტივებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პრაქტიკას, ის ხელს შეუწყობს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ჟურნალისტებისა და აქტივისტების მიერ მათთვის კუთვნილ საჯარო ინფორმაციაზე

წვდომასაც. ევროპარლამენტის 2022 წლის 8 ივნისს მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ დღესდღეობით ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ჟურნალისტები საჯარო ინფორმაციის მიღებაში სირთულეებს აწყდებიან¹⁴.

- **მოიხსნას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისას.** კვალიფიციური ხელმოწერა დამატებით ფინანსურ და დროით ბარიერებს წარმოქმნის რიგითი მოქალაქეებისთვის და ართულებს ინფორმაციის გამოთხოვის პროცესს.
- **კანონმდებლობის იმგვარად განახლება,** რომ მასში გამოყენებული ტერმინები არ ტოვებდნენ ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ხდებოდა დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრა ტექნიკური რეგლამენტის მეშვეობით.
- **შშმ პირებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა.** როდესაც მოქალაქეებს არ შეუძლიათ საჯარო ინფორმაციის წერილობით მოთხოვნა, მათ უნდა მიეცეთ ინფორმაციის სატელეფონო ზარის მეშვეობით გამოთხოვის უფლება.
- **ინფორმაციის ონლაინ გამოთხოვის საშუალებების დივერსიფიკაცია.** როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, ინფორმაციის ონლაინ გამოთხოვა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორც ვებგვერდებისა და სხვა პლატფორმების, ისე სოციალური მედიის საშუალებით.

ზემოხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას საქართველოში. ეს კი, თავის მხრივ, დადებითად აისახება მმართველობის ღიაობასა და გამჭვირვალობაზე.

¹⁴ https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0239_EN.html